1.

ქ. თბილისში მარი ბროსეს და მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გადაკვეთასთან მდებარე სასტუმრო „რივერ საიდი“-ს რეკონსტრუქციის პროექტისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების საეკსპერტო დასკვნა.

შ.პ.ს. „მირა გლობალ“-თან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე 2016 წლის ივლისში შემოწმდა ამავე ორგანიზაციის კუთვნილი სასტუმროს რეკონსტრუქციისათვის ქ. თბილისში ბროსეს ქუჩასა და მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს კუთხეში მდებარე სასტუმროს რეკონსტრუქციის პროექტისათვის 2011 წელს ჩატარებული საინინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები. შემოწმების მიზანს წარმოადგენდა ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგების შესაბამისობის დადგენა საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიულ დოკუმენტებთან.

დამკვეთები არიან სასტუმროს მეპატრონეები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა მათ მფლობელობაში მყოფ ფართობზე არსებული სასტუმროს შენობის რეკონსტრუქცია – პირველ ეტაპზე არსებულ შენობაზე მანსარდის დაშენება და ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან ოთხი სართულიოს მიშენება (დღეისათვიოს უკვე განხორციელებული). პროექტის კორექტირების ფარგლებში, რეკონსტრუქციის მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია, სასტუმროს ბოლო სართულზე მდებარე, ქალაქის ხედებზე ორიენტირებულ ტერასაზე მოეწყოს ქარხნული წესით დამზადებული, პერგოლის ტიპის დასაკეცი საჩედილობელი სისტემა. შესაბამისად შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები მთლიანად მოიცავს შ.პ.ს. „მირა გლობალ“-ის საკუთრებაში მყოფ მიწის ფართობს.

გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა შემსრულებელია შ.პ.ს. „ბაზისი XXI-ს“ სპეციალისტების მიერ, ხოლო კვლევების ჩატარების სტადია მუშა პროექტია.

შესამოწმებლად წარმოდგენილია ექვს A-4 ფურცელზე, ერთად აკინძული, „საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა“-ს ქსეროასლი. დასკვნა ხელმოწერილია შემსრულებლის – ინჟინერ გეოლოგის დ. ბობოხიძის მიერ და დადასტურებულია შ.პ.ს. „ბაზისი XXI“ ბეჭდით.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა შეედგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1. განმარტებითი ბარათის (ტექსტი) ხუთი თავისაგან (I.შესავალი, II.ზოგადი ნაწილი, III. სპეციალური ნაწილი, IV. საძირკვლის გახსნის შედეგები და V. დასკვნები და რეკომენდაციები) და ორ ფურცელზე შესრულებული გრაფიკული დანართისაგან. ირველია ტოპოგრაფ ვ. მარჩენკოს და ს. ვასაძის მიერ შედგენილი 1:500 მასშტაბის ტოპოგრაფიული გეგმა (სამთო გამუნამუშევრების დატანით) და მეორე – 1:100 მასშტაბში, ხელით შესრულებული, 2 შურფის ლითოლოგიური ჭრილის და საძირკვლების ერთ ადგილზე გახსნის გეოლოგიური ჭრილი თავისი პირობითი ნიშნებით.

ამრიგად პროექტის გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილია ოთხ გვერდიანი ტექსტით და ორ ფურცელზე შესრულებული გრაფიკული დანართით.

გამოკვლეული ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისის ცენტრალურ ნაწილში, მარი ბროსეს ქუჩის და მარჯვენა სანაპიროს გადაკვეთასთან.

არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სასტუმრო „რივერ საიდ"-თან ერთად, გეგმაში სუბგანედურად მიმართული, მართკუთხედითან მიახლოვებული, რთული ფორმისაა, საერთო ფართობით 289 მ^2 (საჯარო რეესტრის კოდი 01. 15. 04. 005.045).

გეოლოგიური ძიების ჩასატარებლად გამოყენებული საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დიკუმენტების გამოყენების შესახებ მითითებულია ტექსტში ცალ-ცალკე საჭიროების მიხედვით.

ძირითადი მონაცემები ობიექტის ბუნებრივ პირობების, მათ შორის ფიზიკო-გეოგრაფიული, გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური პირობების და აქ გავრცელებული გრუნტების შესახებ მოცემულია განმარტებით ბარათის ზოგად ნაწილში. შემდეგ – სპეციალურნაწილში, ჩატრებული სამუშაოების საფუძველზე გამოყოფილია ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). პირველი ზედაპირულ წარმონაქმნებს განეკუთვნება, ხოლო მეორე ძირითადი კლდოვანი ქანების გამოფიტვის ზონას. რადგან შენობა დაფუძნებულია მეორე ელემენტზე, აღწერის შემდეგ მოცემულია გამოფიტული ქანების საანგარიშო წინაღობის განსაზღვრა ს.ნ. და წ. 2.01.02-83 ის დამხმარე სახელმძღვანელოს (მოსკოვი „სტროიიზდატი" 1986წ.) მეთოდიკის მიხედვით. განისაზღვრა კლდოვანი გრუნტების გამოფიტვის ზონის ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლები – სიმკვრივე და საანგარიშო წინაღობა.

თავის ბოლოში მოყვანილია ცნობები აქ გაშიშვლებული შენობა-ნაგებობათა საძირკვლების შემადგენლობის და დაფუძნების პირობების შესახებ. დამაკმაყოფილებლადაა შეფასებული საძირკვლების დღეისათვის არსებული ფიზიკურ-მექანიკური მდგომარეობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმავე სტილში განზოგადებულია დასკვნებში და რეკომენდაციებში.

გრაფიკული დანართები (შურფების და საძირკვლის ჭრილები) შესრულებულია ხელით. შინაარსობრივად იგი რაიმე განსაკუთრებულ შენიშვნას არ იმსახურებს, მაგრამ ტექსტური ნაწილისაგან განსხვავებით ბანამედროვეობას ნამდვილად ჩამორჩება.

შენიშვნები ტექნიკური დოკუმენტაციის მიმართ.

1. საინჟინრო-გეოლოგიურ ანგარიშს არ ახლავს ტექნიკური დავალება ან მისი შემცვლელი მიწერილობა.

2. საველე სამუშაოებში არ იყო გაღვალისწინებული აგეგმვითი ან სარეკოგნოსცირო მარშრუტებს ჩატარება.
3. ქ. თბილისის ამ რაიონში ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩატარდა მრავალი საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა. ნორმატიული დოკუმენტები გვავალდებულებს ადრე ჩატარებული სამუშაოების შედეგების გამოყენებას, რასაც მინიმალურადაა ნაშრომში.

დასკვნა.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ს მიერ 2011 წელს ქ. თბილისის ცენტრალურ ნაწილში (მარი ბროსეს და მარჯვენა სანაპიროს გადაკვეთა) სასტუმრო „რივერ საიდი“-ს რეკონსტრუქციის პროექტისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შესრულებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ჩატარებული კვლევების მიმართ არსებითი შენიშვნები არ გამაჩნია, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებს ეძლევა დადებითი შეფასება და რეკომენდებულია საფუძვლად დაედოს წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის განხორციელებას.

ექსპერტი ე. მეგრელიშვილი.

17.07.2016 წ.


IDENTITY CARD
GEO
საქართველო
სახელი / FIRST NAME
ემზარ
EMZAR
გვარი / LAST NAME
მეგრელიშვილი
MEGRELISHVILI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მ / M
01007005286
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
08.06.1942
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
15.09.2024
ბარათის No / CARD No
13IG88452
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
15.09.2014
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE013IG88452301007005286<<<<
4206084M2409157GE0<<<<<<<<<<<9
MEGRELISHVILI<<EMZAR<<<<<<<<<<

CV

სახელი, გვარი:	ემზარ მეგრელიშვილი.
დაბადების ადგილი:	ქ. თბილისი.
მისამართი:	ქ. თბილისი აგლაძის ქუჩა №37 ბინა 40.
დაბადების თარიღი:	8. 06. 1942წ.
ეროვნება:	ქართველი.
საკონტაქტო ტელეფონი:	899 450034 2 34-24-42
განათლება:	1969 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის სპეციალობა. მონიჭებული მაქვს ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.
შრომითი საქმიანობა:	1962-1997 „საქგეოლოგიის“ სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციები – უმცროსი ტექნიკოსი, ტექნიკოს-გეოლოგი, გეოლოგი, უფროსი გეოლოგი, პარტიის მთ. გეოლოგი. 1986-1988 მივლინება ეთიოპიაში. 1997-1998 სახაზინო საწარმო „სტიქია“ – მთ. გეოლოგი. 1998-2004 საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ცენტრი შპს „საინჟგეოი“ – მთ. გეოლოგი. 2004- დღემდე შპს „მაგთიკომი“ – გეოლოგიური საქმიანობის კოორდინატორი.
შრომითი საქმიანობის სფეროები:	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარება და მათი განზოგადება: რეგიონალური და დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური ფართობული აგეგმვა, ბუნებრივი სტიქიური

მოვლენების შესწავლა, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობისათვის.
საექსპერტო საქმიანობა – ლევან სამხარაულის სხელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

კომპიუტერი: საოფისე პროგრამები.

ენა: ქართული (მშობლიური)
რუსული (თავისუფლად)

დადასტურება:

მე, ქვემოთ ხელის მომწერი ემზარ მეგრელიშვილი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი ემზარ მეგრელიშვილი

ელფოსტის მისამართი – emzar.m@mail.ru

2016 წლის 15 ივნისი.

შ.პ.ს. " ბაზისი – XXI "

საინჟინრო – გეოლოგიური

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში,
მ. ბროსეს ქუჩისა და მარჯვენა სანაპიროს კუთხეში,
მესაკუთრე ნიკოლოზ კოულანოვის არსებული
ოთხსართულიანი სასტუმროს შენობის
რეკონსტრუქცია–მიშენება–დაშენების
პროექტის დასაბუთებისათვის

თბილისი – 2 0 1 1 წ.

I. შესავალი

მიმდინარე წლის დეკემბერში, კერძო პირის, ნიკოლოზ კოულანოვის დავალების შესაბამისად, შ.პ.ს. "ბაზისი–XXI"-ის სპეციალისტების მიერ ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ქ. თბილისში, მარი ბროსეს ქუჩისა და მარჯვენა სანაპიროს კუთხეში, არსებულ 4-სართულიან სასტუმროს შენობაზე მანსარდის დაშენებისა და ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან ოთხი სართულის მიშენების პროექტის დასაბუთებისათვის.

კვლევის პერიოდში, ჩვენს მიერ 1 შურფით სიღრმით 1.2-1.5 მ გახსნილი იქნა არსებული სახლის მზიდი კედლების საძირკვლები, რომელთა ზომები, გეომეტრიული ფორმები და ჩაღრმავება გრაფიკული მასალის სახით თან ერთვის დასკვნას, ხოლო შურფი №2-ით დადგინდა უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი.

სიმაღლითი მიბმა განხორციელდა "დამკვეთის" მიერ გადმოცემული 1:500 მასშტაბიან ტოპოგეგმის მიხედვით.

დასკვნაში გამოყენებული იქნა უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე "საქგეოლოგიის" და "თბილქალაქპროექტის" მიერ ადრე ჩატარებული სამუშაოების საფონდო მასალები.

II. ზოგადი ნაწილი

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით უბანი განტავსებულია მდ. მტკვრის მარჯვენა ტერასაზე. უბნის აბს. ნიშნულები 392.00-395.00 მეტრის ფარგლებშია.

უბანი ტექტონიკური თვალსაზრისით განთავსებულია მამადავითის ქედის ჩრდილოეთი ფრთაზე, რომელიც აგებულია შუა და ზედა ოლიგოცენის ასაკის ქვიშაქვებით და სუბარგილიტებით. ქანების ვარდნის აზიმუტი ჩრდილო–დასავლურია და ტოლია 355^0-ისა, ხოლო დაქანების კუთხე 28^0.

ქანები გეოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილში ძლიერ გამოფიტულები არიან. აღნიშნული ქანები დაფარულია დელუვიურ–პროლუვიური წარმოშობის თიხნარებით და ნაყარი გრუნტებით.

საფარი ქანების ჯამური სიმძლავრე უბანზე 2.0–5.0 მეტრს არ აღემატება.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით მამადავითის ნიადაგური ფერდის გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით, ფერდი სპორადულად არის გაწყლიანებული.

ჩვენს მიერ გაყვანილი შურფებით წყალი არ დაფიქსირებულა, თუმცა უხვი ატმოსფერული ნალექების პერიოდში მოსალოდნელია სპორადული და ნაპრალური წყლის გაჩენა.

III. სპეციალური ნაწილი

უბნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საშიში გეოლოგიური პროცესების კვალი არ აღინიშნება.

უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის კარგ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება.

საინჟინრო-გეოლოგიურ პირობების სირთულის მიხედვით, სნწ 1.02.07-87-ის დანართი 10-ის თანახმად, განეკუთვნება მარტივი /I/ სირთულის კატეგორიას.

ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, ჩვენს მიერ უბანზე გამოიყოფა ორი ფენა:

ფენა № 1 – ნაყარი გრუნტი – წარმოდგენილია მოყავისფრო კოშტოვანი თიხნარებით, ძირითადი ქანების ნამტვრევების, ღორღის და სამშენებლო ნაგვის ნარჩენების ჩანართებით. სიმძლავრე მერყეობს 1.2-1.4 მ-დე.

ფენა № 2 – ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვების, არგილიტებისა და თიხაფიქლების შრეთა მორიგეობა. ფენა განლაგებულია 1.2-1.4 მეტრის სიღრმიდან. წარმოდგენილი არიან ნაცრისფერი მორუხო ქვიშაქვებითა და მოშავო მუქი ფერის არგილიტებით. ფენა განეკუთვნება გამოფიტვის ღორღულ ზონას, რადგან მასში ძირითადი ქანები განცალკევებული მცირე ზომის ნატეხებით არის წარმოდგენილი. ჩვენს მიერ განსაზღვრული იქნა მხოლოდ ფენის სიმკვრივე (P), რომელმაც შეადგინა 2.45 გ/სმ^3; შემდგომ გამოთვლილი იქნა გამოფიტვის კოეფიციენტი Kaw და გამოფიტვის მახასიათებელი Kw რომელმაც 0.85 შეადგინა. სნწ 2.01.02-83-ის დამხმარე სახელმძღვანელოს მიხედვით, აღნიშნული სიდიდის გამოფიტვის კოეფიციენტის მქონე ქანები განეკუთვნებიან გამოფიტული გრუნტების სახესხვაობას, რომელთა საანგარიშო წინაღობა იმავე სახელმძღვანელოს მიხედვით შეადგენს Ro – 3.0 კგძ/სმ^2-ს (სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში Rcწყ – 50 კგძ/სმ^2-მდე)

IV. საძირკვლის გახსნის შედეგები

არსებული სარდაფის საძირკვლები გაიხსნა სამი შურფით.

შენობა დაფუძნებულია გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების შრეთა მორიგეობაზე წერტილოვანი ტიპის საძირკვლებით, რომელთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

საძირკვლის გეომეტრიული ფორმები, ზომები და ჩაღრმავება მოცემულია.

IV დასკვნა და რეკომენდაციები

- საინჟინრო–გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, უბანი სნ.და წ. 1.02.07–87-ის დანართი 10-ის თანახმად, განეკუთვნება მარტივი (I) ტიპის კატეგორიას.
- არსებული შენობა დაფუძნებულია ფენა №2-ზე – ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების შრეთა მორიგეობაზე – წერტილოვანი ტიპის ცალკემდგომი საძირკვლებით, რომელთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ფენა №2-ის სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში $R_{cწყ}=50$ კგძ/სმ$_2$-მდე, ხოლო საანგარიშო წინაღობა $R_o=3.0$ კგძ/სმ^2;
- სამშენებლო უბნის სეისმურობად მიღებულ იქნას 8 ბალი;
- გრუნტები, დამუშავების სიძნელის მიხედვით, თანახმად სნ. და წ. IV–5–82–ის ცხრ. 1-ისა, მიეკუთვნებიან შემდეგ ჯგუფებს:

ფენა №1 – 24ბ

ფენა №2 – 28ბ

ინჟინერ-გეოლოგი ჟ. ბოზოლიძე


d=1500 მმ
d=500 მმ
392.99
392.98
391.34
390.00
392.66
392.22
392.98
391.26
396.31
394.80
394.57
395.75
394.75
394.00
385.44
392.74
391.28
390.03
393.53
393.08
392.00
4000 : 4000
8სთ.
8სთ.





ნაყარი გრუნტი



ძლიერ გამოფიტული ქვი-
შაქვების და ალევროლიტების
მორიგეობა



ბუტობეტონი -

ქ. თბილისში, [illegible] ქ-ზე და [illegible] ქუჩის კუთხეში არსებული საცხოვრებლის რეკონსტრუქციის [illegible] საინჟინრო გეოლოგია	სტადია მ. პ. მასშტაბი 1:100
ლითოლოგიური ჭრილები	[illegible] თბილისი
ინჟინერ-გეოლოგი [illegible] [illegible]	2011წ